

ბოტანიკა

Botany

ეთნობოტანიკური მონაცემები ჰიმალაურ კედარზე

როზა ბიძინაშვილი-ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: რელიქტი, იშვიათი, ეკოლოგია, გარემო პირობები, ინტროდუქცია, ეთნობოტანიკა.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საქართველოს ეროვნულ (თბილისის) ბოტანიკურ ბაღში XIX ს-ის 80-იანი წლებიდან ინტროდუცირებული რელიქტური, ფრიად დეკორატიული, მარადმწვანე ეგზოტური მცენარის-ჰიმალაური კედრის (*Cedrus deodara* (Roxb. ex D. Don) G. Don.) მორფობიოლოგიური მახასიათებლები, ეკოლოგიური პარამეტრები, გავრცელების კანონზომიერებანი, გამოზრდის თავისებურებები, ეთნობოტანიკური მონაცემები.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ამ უაღრესად საინტერესო მცენარის მრავალმხრივ სასარგებლო თვისებებზე (მათ შორის სამკურნალოზეც), რომლითაც უძველესი წარსულიდან იქცევა აზიური ქვეყნების მოსახლეობის ფართო ყურადღებას, დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და სხვადასხვა დანიშნულებით ინტენსიურად გამოიყენება ფარმაციაში.

შესავალი

ინდოეთში ჰიმალაური კედარი (*Cedrus deodara* (Roxb. ex D. Don) G. Don.), რომელიც დეოდარას სახელითაცაა ცნობილი, წმინდათა წმინდა ხეს წარმოადგენს. სიტყვა დეოდარა—წარმოიქმნა სანსკრიტული დევარადუ-საგან—“ღმერთების ტყე” (“დევა”-ღმერთი, “დარუ”-ტყე). ინდუიზმში-მასზე ლოცულობენ, განსაკუთრებით ქაშმირისა და პენჯაბს შტატებში. უძველესი რელიქტური მცენარეა, ცნობილია ცარცული პერიოდიდან, ასე რომ მისი ასაკი 100 მილიონი წლით განისაზღვრება. ძვირფასი მერქნიდან გამომდინარე საუკუნეების მანძილზე აქტიურად მიმდინარეობს ბუნებრივ ადგილსამყოფლებში მისი ჭრა, განსაკუთრებით კატასტროფული მდგომარეობა დასავლეთ ჰიმალაიზე, ქაშმირის ხეობაში, ზღვ. დ. 1500 მ სიმაღლეზე, სადაც თითქმის სრულად განადგურებულია ეს უნიკალური მცენარე და მისი ადგილი ინვაზიურ მცენარეებს უკავია: თეთრ აკაციას, ამერიკულ ნეკერჩხლებს, ჭადრებს და სხვ. ხასიათდება ფართო ეკოლოგიური პლასტიკურობით. იზრდება ზღვ. დ. 1000-დან 3600 მ სიმაღლემდე, გვხვდება როგორც წმინდა ნარგაობების სახით, ასევე სოჭთან, ფიჭვთან, მერქნოვან შქერთან, მუხებთან ერთად. გიგანტურ მცენარეთა რიცხვს განეკუთვნება, ცოცხლობს 1000-მდე წელს, იდეალურ პირობებში შეიძლება მიაღწიოს 3000 წლის ასაკს. ასეთი ხნოვანი ხეები ჰიმალაიზე უკვე იშვიათია, ტყის ნარგაობებში უმთავრესად წარმოდგენილია 100-300 წლიანი მცენარეები, მხოლოდ ბუდისტების წმინდა ჭალებსა და პარკებში იზრდება ინდივიდები, რომლებმაც 1500 წელს გადააბიჯეს, მათ აფასებენ და სათანადოდ იცავენ [1].

შრომის ძირითადი ნაწილი

ჰიმალაურ კედარს განსაკუთრებული ადგილი უკავია ფიჭვისებრთა (Pinaceae) ოჯახის დიდებულ და საუცხოო ხეებს შორის. მარადმწვანე მსხვილი ხეა, სამშობლოში აღწევს 50 მ-მდე სიმაღლესა და 1,5-3 მ-მდე დიამეტრს, გამოირჩევა ფართო კონუსური ვარჯით. ფესვი მთავარდერძაა, გვერდითი ფესვების ფართო სისტემით. მერქანი რბილია, არომატული, მუქი ყავისფერიდან ნაცრისფერამდე, ხნიერი ინდივიდების-მოშავო ელფერის. ასაკთან ერთად მცენარის წვერი ბლავდება, ხოლო ვარჯის ფორმა უფრო გადამოხრილი ხდება. სკელეტური ტოტები ჰორიზონტალურია, რკალისებრ ჩამოკიდებული ყლორტების ბოლოებით, ყავისფერი შეფერილობის. ახალგაზრდა ყლორტები წვრილია, ბოლოებში ჩამოკიდებული, შებუსუსი. ინვითარებს დაგრძელებულ და მოკლე ყლორტებს, რომლებიც ჰორიზონტალურადაა განწყობილი. დაგრძელებულ ყლორტებს ახასიათებს განუსაზღვრელი ზრდა და სპირალურად განლაგებული ერთეული სახით ნემსისებრი წიწვები, სწორედ ასეთი ყლორტები უზრუნველყოფენ ხის ძირითად ნამატს. შემოკლებული ყლორტები წარმოიქმნება

დაგრძელებული ყლორტების იმ ქერქლების უბეში, რომლებიც მალე ცვივა. ისინი მოკლეა და ნელი ზრდით ხასიათდება, ფუძესთან დაფარულია ქერქლებით, უვითარდება ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი წიწვების კონა (20-40), რომლებიც მკვრივია, პრიალა, ხეშეში, 3-4 წახნაგიანი, 3-5 სმ სიგრძის, ბაცი მონცრისფრო-მწვანე, ლევა ელფერით, ხნოვანებასთან ერთად მუქი მწვანე შეფერილობის ხდება, ზამთრობით არ ცვივა, სიცოცხლის ხანგრძლივობა 3-6 წელს შეადგენს. წიწვების ჩამოცვენის შემდეგ მისი მოწყვეტის ადგილზე ჩნდება ფოთლის ნაჭდევი, ტოტზე კი რჩება ე.წ. ფოთლის ბალიში.

კედრის სპოროფიტები შეკრებილია მჭიდროდ ჯგუფებად, გირჩებად, ისინი ან მარტივი ყლორტებია, რომელთა ღერძზე მოთავსებულია სპოროფიტები (მამრობითი გირჩები-მიკროსტრობილები), ან რთული ყლორტები, რომლებიც წარმოადგენენ გირჩის საერთო ღერძზე მოთავსებული შემოკლებული და სახეცვლილი მარტივი ყლორტების კრებულს (მდედრობითი გირჩები, რომლებიც ერთსქესიანია).



კედრის სხვადასხვა ხნოვანების ინდივიდები [3]

კედრის გირჩები ფორმირდება ვარჯის წვეროსეულ ტოტებზე, ისინი განლაგებულია თითო-თითოდ, იშვიათად წყვილ-წყვილად. ფორმით მოგვაგონებს წაგრძელებულ მცირე ზომის კასრებს, რომლებიც გადაშლილი წვერით მზისკენაა მიმართული. გირჩები, როგორც წესი აღწევენ დიამეტრით 5-7 სმ, სიგრძით 10-15 სმ. სეზონის მანძილზე ისინი თანდათანობით იცვლიან შეფერილობას ცისფერიდან მოყავისფრო-მეწამულამდე. გირჩები გამაგრებულია გამძლე ყუნწებზე და მწიფდება ერთნახევარი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც მეორე-მესამე წელს ცვივა. მომწიფებისას გადაიშლებიან და ანთავისუფლებენ თესლებს, რომლებიც ფისოვანია, მთეთრო ფერის, მოგრძო-კვერცხისებრი ფორმის, აღწევს 1,7 სმ სიგრძეს და 0,7 სმ სიგანეს. ერთი გირჩი შეიცავს 30-დან 150 თესლს. ფართო, პრიალა „ფრთის“ წყალობით თესლი ფართოდ ვრცელდება, რითაც სიცოცხლეს ანიჭებს ახალ ინდივიდებს.

მცენარის სიცოცხლის ხანგრძლივობა 1000 წელს აღემატება, იდეალურ პირობებში შეიძლება მიღწიოს 3000 წლის ასაკს [2].

სამშობლო პაკისტანია. იზრდება აღმოსავლეთ აზიაში, ჰიმალაის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ავღანეთის, პაკისტანის, ინდოეთისა და ნეპალის მთებში, ადის ზღვ. დ. 1000 მ-დან 3000-3500 მ. სიმაღლემდე, წარმოქმნის ტყეებს ნაძვთან, ფიჭვთან და სოჭთან ერთად.

მაღალი დეკორატიულობიდან და მრავალმხრივი სასარგებლო თვისებებიდან გამომდინარე, ფართოდაა კულტივირებული ევროპის ცენტრალურ და სამხრეთ ქვეყნებში: გერმანიის სამხრეთით, ტურინგიაში, ჩეხეთში,

პოლონეთში, ავსტრიაში, რუსეთის სამხრეთ რეგიონებში, ყირიმში, ბალკანებში და სხვ. განსაკუთრებით მრავალადაა კავკასიაში, რომლის კლიმატი ესადაგება მის ზრდა-განვითარებას. შემთხვევითი არ არის, რომ ქ. თბილისში სწორედ ჰიმალაური კედარი შეირჩა მასობრივი და გეგმიური გამწვანებისათვის.

ჰიმალაური კედრის გამოზრდის ცდა კულტურაში საწყისს იღებს XIX-ის დასაწყისში, 1822 წლიდან. მრავალი ქვეყნის ბოტანიკურ ბაღებში ფიგურირებს, მათ შორის თბილისის ბოტანიკურ ბაღშიც, სადაც პირველი ეგზემპლარები დაირგა XIX ს-ის 80-იან წლებში. ამჟამად ბაღში მრავალადაა წარმოდგენილი, აღინიშნება სხვადასხვა ხნოვანების, 10-დან 120 წლამდე ასაკის ინდივიდები, რომლებიც ბრწყინვალედ ეგუებიან თბილისის სემიარიდული კლიმატის პირობებს, კარგად ვითარდებიან, გამოირჩევიან მდგრადობით, გამორჩეული ჰაბიტუსით; განსაკუთრებით მიმზიდველია კედრის ასწლიანი ეგზემპლარები, რომლებიც ყურადღებას იპყრობენ მძლავრი, ფართოდ გადაშლილი ვარჯით, მონუმენტალობით, ინდივიდუალობით და დიდებულებით, კარგად ნაყოფმსხმოიარობენ, აღინიშნება ბუნებრივი განახლებაც.

დღევანდელი, სწრაფად მოზარდი სახეობაა. კედრის სხვა სახეობებთან შედარებით იტანს დაჩრდილვას, უპირატესობას ანიჭებს ჰაერისა და ნიადაგის მაღალ ტენიანობას. ნიადაგებისადმი ნაკლებმომთხოვნია, ეგუება მათში კირის არსებობას, დაუზიანებლად გადააქვს ტემპერატურის დაცემა -25⁰ - მდე. ნიადაგში კირის მაღალი რაოდენობის შემთხვევაში ავადდება ქლოროზით, რა დროსაც წიწვები ყვითლდება. უყვარს მზის გაფანტული სინათლე და უსაფრთხო ნაკვეთები. გრუნტის შემადგენლობისადმი განსაკუთრებული მოთხოვნები არ გააჩნია, უმთავრესია, რომ ნიადაგი იყვეს ნაყოფიერი და კარგი დრენაჟის. არსებობს ზოგიერთი თავი-სებურება მოცემული სახეობის გამოსაკვებად. სივრცის ნაკლებობისას, ხეს ცვივა წიწვები, ამიტომ, თავიდანვე უზრუნველყოფილი უნდა იყვეს საკმარისი მამილზე ზედმეტი მცენარეების ნარგაობებისაგან.

კედრის ზრდა-განვითარებისათვის საუკეთესო პირობებს წარმოადგენს თბილი ტენიანი ჰაერი, უხვი რწყვა და ზომიერი-თბილი კლიმატი. მნიშვნელოვნად ზიანდება სუსხიანი ქარების დაბერვისაგან, რის გამოც მათ დასარგველად საჭიროა შეირჩეს უქარო ნაკვეთები. ვერ უძლებს ევრაზიის ზომიერი განედის მკაცრ კლიმატურ პირობებს. კავკასიის მთისწინების ზედა რეგიონებში შექმნილია ჰიმალაური კედრის სანერგეები, სადაც წარმატებით მიმდინარეობს მათი გამრავლება. ამრავლებენ როგორც კვეტატიური გზით (კალმებს ამყობენ ჩვეულებრივ ფიჭვზე), ასევე თესლით.

კარგი შედეგია მიღებული საშემოდგომო თესვისას. თესვენ ოქტომბრის ბოლოს, ნოემბრის დასაწყისში, წინასწარ მომზადებულ კვლებში, 1 კვ მ ფართობზე ითესება 50-300 გ-მდე თესლი; თესვის სიღრმე 3-4 სმ, მღრღნელებისაგან მათ დასაცავად აფარებენ პოლიეთილენის აპკს. მომავალი წლის გაზაფხულზე აღმოცენდებიან. აღმონაცენს თხრიან, ახარისხებენ, ფესვებს ამოკლებენ და რგავენ იმავე სიღრმით, შემდეგი სქემით: 20x20 სმ ან 20x10 სმ. აღმონაცენის ჯგუთვა შესაძლებელია აღმოცენებიდან მეორე წელსაც. სწორი აგროტექნიკის შემთხვევაში ჯგუთვის შემდეგ აღმონაცენის გახარება მაღალია. 2-3 წლის შემდეგ მიიღება კარგი სარგავი მასალა, განვითარებული ფესვთა სისტემით, რაც ხელს უწყობს მათ გადარგვას ახალ ადგილზე.

დიდ ყურადღებას მოითხოვს მცირე ზომის ნერგები, რომლებიც ჯერ 3 მ-მდე სიმაღლეს არ არიან მიღწეულები, ამ პერიოდში საჭიროებს განსაკუთრებულ მოვლას და დაცვას სიცივისაგან, რისთვისაც იყენებენ საფარ მასალას: ნაძვის ტოტებს, ტომრებს, თანამედროვე პოლიმერულ მასალებს. ახალგაზრდა ნერგების გამოკვებას ატარებენ წელწადში 3-ჯერ, აპრილში, ივნისში და ივლისში. ამასთან ივლისამდე აუცილებელია აზოტიანი სასუქების შეტანა, რომელიც ხელს უწყობს მცენარის ზრდის სტიმულირებას, შემდეგ განოციერებას ახდენენ კალიუმთან-ფოსფოროვანი სასუქებით.

გადარგვისას ნერგებს თხრიან მიწის გორბებით, ახვევენ ცელოფენის აპკით ან ნოტიო ქსოვილით და გადააქვთ დარგვის ადგილას. აუცილებელია სარგავი ორმოების წინასწარი დამზადება, მათი ზომები ნერგების ფესვების მოცულობას უნდა აღემატებოდეს 30%-ით. მომზადებულ სუბსტრატს ყრიან ბუდეების ძირში და მათზე ათავსებენ ნერგის ფესვებს ისე, რომ ფესვის ყელი მიწის ღონეზე იყვეს, შემდეგ ორმოებს ავსებენ მომზადებული ფხვიერი მიწით, ტკეპნიან და რწყავენ [4].

ჰიმალაური კედრის მორფოლოგიური მახასიათებლები



მამრობითი გირჩები



მდედრობითი გირჩები



გრძელი ყლორტები



მოკლე ყლორტები



მომწიფებული მდედრობითი გირჩები



კედრის ფრთიანი თესლები



გასუფთავებული თესლი



თესლიდან და ქერქიდან მიღებული ეთერზეთები



ჰიმალაური კედრის ყველაზე გავრცელებულ დაავადებებად ითვლება: ფესვისეული თეთრი სიღამპლე; ჟანგაროვანი დაავადება; ქლოროზი; მურა ცენტრალური სიღამპლე; მურა პრიზმული სიღამპლე. აღნიშნული დაავადებების პროფილაქტიკისთვის საჭიროა კულტურის გამოზრდის ტექნოლოგიის სრული დაცვა და ფუნგიციდური მოქმედების ბიოპრეპარატების გამოყენება [5].

ეთნობოტანიკური მონაცემები

ინდოელები ჰიმალაურ კედარს, იგივე დეოდარს წმინდა ხედ მიიჩნევენ. სანსკრიტულიდან მისი სახელის სიტყვასიტყვითი თარგმანი ნიშნავს „ტყის ღმერთს“. ინდუისტები დღესაც ეთაყვანებიან მას, განსაკუთრებით ქაშმირის რეგიონში. ძველ დროში დეოდარის ტყეებში ცხოვრობდნენ გამორჩეული პიროვნებები - **ბრძენები**, რომლებიც დიდი ღმერთის შივას (უსახო და უსახელო ღვთაების ერთ-ერთი სახე, რომელიც ბრაჰმასთან და ვიშნუსთან ერთად შეადგენს სამებას-ტრიმურტის) თაყვანისმცემლები იყვნენ. ისინი ტყეში ასრულებდნენ წესჩვეულებებს, რათა მოეზიდათ ციური მფარველების კეთილგანწყობა. უძველეს ლიტერატურაში არაერთხელაა ნახსენები დეოდარა, მათ რიცხვში ძველ ინდურ ეპოსში – “რამაიანაში”.

ამჟამად ჰიმალაური კედარი პაკისტანის სიმბოლოდაა მიჩნეული. ცნობილ ისტორიულ ძეგლად, რომელიც კედრისგანაა შესრულებული მიიჩნევა ქაშმირის შტატის ქ. შრინაგარში არსებული ჯამა მასჯიდის მეჩეთი, რომელიც 1398 წელს იქნა აგებული, შემდგომში დაიწვა, ხოლო მოგვიანებით ამავე ხის მასალით იქნა განახლებული [6].

კედრის არომატული მერქანი ძველი დროიდანვე გამოიყენებოდა ინდოეთში მოსაწვევი ჩხირების დასამზადებლად. მისი სურნელი აფრთხობს მწერებს, რის გამოც ახდენდნენ საცხოვრებელი სახლების დაზრჩობას, მერქნის დისტილირებულ ზეთს უსმევდნენ საქონელს ფეხებზე, რათა მწერებს არ დაეკინათ. გარდა ამისა მერქანი ხასიათდება ანტისოკოვანი მოქმედებით, მას იყენებდნენ სანელებლების შესანახად.

კედრიდან მიიღება ორი ტიპის ზეთი – ეთერზეთები და მცენარეული. ეთერზეთებს ლებულობენ მერქნიდან, ქერქისა და წიწვებიდან, გამოიყენება არომატურაპიაში, კოსმეტოლოგიაში, პარფიუმერიაში და სამკურნალო მიზნებისათვის. მცენარეული ზეთი მიიღება კედრის თესლებიდან, იხმარება მედიცინასა და კოსმეტოლოგიაში,

როგორც გარეგანი, ისე შინაგანი მოხმარებისათვის. დეოდარას ეთერზეთები შემდეგი მოქმედებით ხასიათდება: ფსიქო-ემოციონალური-ამჟღავნებს, სპობს ეჭვებს, არკვევს რთულ სიტუაციებს, აუმჯობესებს განწყობას; სამკურნალო – ხსნის დაღლილობას და თავის ტკივილებს, ასტიმულირებს და ხელს უწყობს ჯანმრთელობის დაცვას, შველის გაციებებს, ასუფთავებს შენობებს; მაგიური-“სულიერი”- მისი სურნელი, ასუფთავებს და ხელს უწყობს სულიერების ამაღლებას [7].

თესლის მცენარეული ზეთი ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და საკვები თვისებებით, ბუნებაში მისი ანალოგი არ არსებობს, მისი სინთეზი შეუძლებელია. საოცრად მდიდარია ვიტამინებითა და მინერალური ელემენტებით და ფართოდ გამოიყენება კვების მრეწველობაში, მედიცინაში, კოსმეტოლოგიასა და ყოფა-ცხოვრებაში.

კედრის ზეთები შეიცავს ნახევრად გაჯერებულ ცხიმოვანებს-ოლეინის, ლინოლენის, ლინოლის, ამინომჟავებს, ვიტამინებს (A, B₁, B₂, B₃, D, E, F), ისეთ დეფიციტურ მაკრო და მიკროელემენტებს, როგორცაა რკინა, იოდი, მაგნიუმი, კალციუმი, კალიუმი, ფოსფორი, სპილენძი, კრემნიუმი, ბორი, ნიკელი, ნატრიუმი, ტიტანი, ვერცხლი, ალუმინი, მოლიბდენი. კედრის ზეთი გამოირჩევა ანტიოქსიდანტების მაღალი შემცველობით, ანუ იმ ნივთიერებებით რომლებიც არიან ორგანიზმში სიბერეს. ვიტამინის შემცველობით 5-ჯერ აღემატება ზეთისხილის ზეთს და 3-ჯერ ქოქოსის, ამ ვიტამინის ნაკლებობა ორგანიზმში იწვევს ცხიმოვანი ბალანსის დარღვევას, ვითარდება ათეროსკლეროზი, მეტუპურ დედებში წყვეტს ლაქტაციას. მოთხოვნილება კედრის ზეთისადმი ყოველთვის მაღალი იყო და რა თქმა უნდა შესაბამისად-ღირებულებაც [8].

როგორც სამკურნალო ნედლეული დეოდარი ცნობილი იყო რამდენიმე ათასი წლით ადრე ჩვენს ერამდე. ხის ყველა ნაწილი-მერქანი, ნახერხი, ქერქი, წიწვები, ფისი, გირჩები, კვირტები, კაკლის გული და ნაჭუჭი, კედრის ზეთი-ფართოდ გამოიყენება სამედიცინო მიზნებისათვის, როგორც ხალხურ, ასევე ტრადიციულ მედიცინაში. უძველესი დროიდან ამ მცენარეს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია “აიურვედას” (უძველესი სამედიცინო სისტემა, სიტყვა-სიტყვით ითარგმნება როგორც “სიცოცხლის ცოდნა”; ესაა ათასწლეულებს გამონატარი და გამონაცადი ინდური ფილოსოფია ადამიანის ჯანსაღი, გარემოსთან ჰარმონიული თანაცხოვრების შესახებ) სისტემაშიც.

კედრის ყველა ნაწილი სამკურნალო ძალით გამოირჩევა: წიწვები მდიდარია C ვიტამინით, ბეტაკაროტინით, მთრიმლავი ნივთიერებებით, ტერპენებით, ალკალოიდებით. წიწვების ნახარში უფრო მეტ C ვიტამინს შეიცავს, ვიდრე ლიმონის წვენი; მისი მერქნიდან დამზადებულ ჭურჭელში რძე დიდხანს არ მჟავდება, ხოლო წყალი კვირაობით არ ფუჭდება; მისი ყველა ნაწილი ხასიათდება მაღალი ფიტონციდური აქტივობით, აქვთ ბაქტერიციდული ძალა; უვნებლყოფს დაავადებების გამომწვევ მიკრობებს.

მცენარის სხვადასხვა ნაწილიდან ამზადებენ სალბუნებს, მალამოებს, აბაზანებს, ნახარშებს, ნაყენებს, ექსტრაქტებს, ზეთებს-რომლებიც გამოიყენება დაავადებების ფართო სპექტრის სამკურნალოდ. კერძოდ: ხელს უწყობს ფიზიკური და გონებრივი შრომის უნარიანობას, ხსნის სტრესის შედეგებსა და ქრონიკულ დაღლილობას, ამძლავრებს იმუნიტეტსა და ორგანიზმის მდგრადობას, ეწინააღმდეგება მრავალი დაავადების წარმოქმნას, აქედან გამომდინარე უხანგრძლივებს ადამიანს სასიცოცხლო აქტიურ პერიოდს. განსაკუთრებით სასარგებლოა არახელსაყრელ კლიმატურ და ეკოლოგიურ პირობებში მცხოვრებთათვის, მაღალი ფსიქო-მოციური დატვირთვებისა და ენერჯის გაზრდილი ხარჯვის ადამიანებისათვის.

კედრის ზეთი ხელს უწყობს ორგანიზმიდან მძიმე მეტალების მარილების გამოდევნას. სასარგებლო და სამკურნალო საშუალებაა ორგანიზმის გაახალგაზრდავებისა და სიბერის პროცესების შესაჩერებლად, სისხლში ქოლესტერინის დონის დასაწევად, მაღალი არტერიული წნევის დასაქვეითებლად, ვენების ვარიკოზული გაფართოების, ნიკრისის ქარის, რევმატიზმის, რადიკულიტის, ართრიტების, რაქიტის, პოლი-ართრიტის, სისხლისა და ლიმფის დაავადებების, სისხლნაკლებობის, ლარინგიტის, გაციების, გრიპის, ბრონქიტის, ტუბერკულოზის, ანგინის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების (გასტრიტი, ქოლეცისტიტი, პანკრეატიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული), კანის სხვადასხვა დაავადების (ეგზემა, დერმატოზი, ნეიროდერმატიტები, ჭინჭრის ციება, ფსორიაზი, დიათეზი, კანის სიმშრალე, ტროფიკული წყლულები, ნაწლავები, დამწვრობები), ალერგიული აშლილობის, ათეროსკლეროზის, თირკმელებისა და თირკმელკენჭოვანი დაავადებების, შაკიკისა და თავის ტკივილების, კბილებიდან სისხლდენისა და ცინგის, კბილის ტკივილების დროს.

ფართოდ გამოიყენება კოსმეტოლოგიაში, ხასიათდება რა ანტიოქსიდანტური მოქმედებით კანს იცავს თავისუფალი რადიკალების მოქმედებისაგან და ანელებს კანის სიბერის პროცესებს, ხასიათდება მკვებავი და დამატენიანებელი, ანტიბაქტერიული და ანტისოკოვანი, შემკვრელი და ჭრილობების შემახორცებელი მოქმედებით, აძლიერებს ლიმფურ დრენაჟს, ანთავისუფლებს ცხიმებისაგან, გამოიყენება გასახლომ მასაჟებში, ფრჩხილებისა და თმის ძირების გასამაგრებლად.

შედის სხვადასხვა სახის კრემების, ბალზამების, სუნამოების, საპნებისა და ა.შ. შემადგენლობაში.

კედრის კაკალი და ეთერზეთები წარმოადგენს უსაფრთხო პროდუქტს, არ გააჩნია უკუჩვენებები სამკურნალო-პროფილაქტიკური გამოყენებისას [7, 8, 9, 10, 11].

გამორჩეული საპარკო მცენარეა ვარჯის დამახასიათებელი კონტურებით და მუქი მწვანე წიწვებით. ფართოდ გამოიყენება ლანდშაფტურ მებაღეობაში, პარკებში ხეივანების მოსაწყობად. ეფექტურია როგორც ჯგუფურ ნარგაობებში, ასევე ცალკეულად, სოლიტერების სახით. სიცოცხლის პირველ წლებში კარგად იტანს კრეჭვას და ადვილად ახდენს აღდგენას მის შემდეგ, რაც იძლევა სხვადასხვა ფორმის ლანდშაფტური კომპოზიციების შექმნის საშუალებას. წარმოქმნის ორიგინალური ფორმის ცოცხალ ღობეებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://animalworld.com.ua/news/news_452
2. <http://www.vashsad.ua/encyclopedia-of-plants/coniferous/show/3343/>
3. http://animalworld.com.ua/fito/news_452
4. http://mydiz.biz/plants_landscaping/493.
5. <http://ogorodnikam.com/derevy/kedr-gimalajskij/>.
6. <https://qurukul.ru/?p=2506>.
7. <https://master-om.com/kazan/catalog/product/253>
8. http://amirisshop.ru/index.php/component/virtuemart/efirnye-masla/эфирные_масла?error=404&Itemid=0
9. <http://www.ayurv.ru/kedr-himalaya.html>
10. roza biZinaSvili avi seni da samkurnalo mcenareebi. Ggamomcemloba "mwignobari". Tbilisi, 2016. 538 gv.
11. roza biZinaSvili gul-sisxlZarRvTa daavadebebi da fitoTerapia. Ggamomcemloba "mwignobari". Tbilisi, 2017. 368 gv.

Ethnobotanical data on Himalayan cedar

Roza Bidzinashvili -Academic Doctor of Biology

Key words: relic, rare, ecology, environmental conditions, introduction, ethnobotany.

Abstract

The work deals with the relict, quite ornamental evergreen exotic plant - Himalayan cedar (*Cedrus deodara* (Roxb. D.Don) G.Don) that was introduced in the Botanical Garden of Tbilisi in the 80s of the XIX century, its morphobiological characteristics, ecological parameters, distribution appropriateness, and ethnobotanical data. Particular attention is paid to the multifunctional useful features of this extremely interesting plant (including its medicinal properties). The Asian population has always shown their interest in the plant and even today it is intensively used in pharmacy.